499.962.1
ს-627

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

რიჭვაძე მედეა

საკუთარი სახელი საშუალ ქართულში
(სულთა მატიანეებისა და სიგელ-გუჯრების მიხედვით)

სპეციალობა 10.02.01 – ქართული ენა

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თ ბ ი ლ ი ს ი
2 0 0 5

ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი — ზურაბ ჭუმბურიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.01)

ოფიციალური ოპონენტები: — ვახტანგ იმნაიშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (10.02.01)

ნანა ლოლაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, (10.02.08)

დისერტაციის დაცვა შედგება 2005 წლის 11 მაისს, 14:30 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (P 10.07. № 7) სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ. № 1; I კორპუსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სხდომათა დარბაზი

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. მისამართი: თბილისი, 0134, უნივერსიტეტის ქ. № 2.

ავტორეფერატი დაიგზავნა 2005 წლის 11 აპრილს

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი — რ. ქურდაძე

თემის აქტუალობა.

ონომასტიკური ფონდი ენის ლექსიკური შემადგენლობის უძველესი ფენაა, რომელშიც გამოიყოფა, ერთის მხრივ, ადამიანის სახელები და გვარები, მეორეს მხრივ, გეოგრაფიული სახელწოდებანი. საკუთარი სახელები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ლექსიკური მარაგის შევსება-გამდიდრებაში.

ქართული სახელებისა და გვარების შესწავლისათვის დიდი მუშაობაა გაწეული: დადგენილია ბევრი გვარის ეტიმოლოგია, გარკვეულია სახელთა წარმომავლობა და სტრუქტურა, მაგრამ ამ მიმართებით კვლავ უამრავი პრობლემაა დასმული, რომელთა გადასაჭრელად ფართო მასშტაბის პრაქტიკულ-შემკრებლობითი და თეორიული სამუშაოებია ჩასატარებელი. საკუთარ სახელთა ფონდის თავმოყრა. სისტემატიზაცია და გაანალიზება მეტად შრომატევადი და ამასთანავე საინტერესო საქმეა.

მეცნიერული სიახლე

ძველი ქართული ანთროპონიმიკის შესწავლა შეუძლებელია მისი სისტემური შეკრებისა და აღწერის გარეშე. ნაშრომის მიზანია ფაქტობრივი მასალის სანდოდ დალაგების, პირველწყაროსთან შეჯერების საქმეში წვლილის შეტანა. სადისერტაციო შრომა არის მცდელობა საკუთარ სახელთა სტრუქტურისა და ბრუნების თავისებურებათა კვლევა-ძიებისა. ამოსავალია სამხრეთ საქართველოს ონომასტიკა, რომელიც ქართული ონომასტიკის ორგანული ნაწილია, იგი შედარებულია აგრეთვე განსხვავებული გეოგრაფიული არეალის ონომასტიკურ მასალასა და ქართულ მხატვრულ-წერილობით ძეგლებთან.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

საკითხის დასმა საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ეხება ქართული მეცნიერებისათვის სადავოდ ქცეულ გვარსახელების ჩამოყალიბების პრობლემას და თავისი წვლილი შეაქვს მის კვლევაში. მეორეცაა, საკვლევი მატიანეები და სიგელ-გუჯრები ასახავენ ცოცხალ მეტყველებას, ამდენად, საკითხი საინტერესოა ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისითაც. მესამეცაა, რომ საშუალ ქართულში ხდება გათანაბრება საკუთარი და საზოგადო სახელების ბრუნებისა. აქედან გამომდინარე, ნაშრომი საინტერესოა სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით.